კარში დარტყმის გარეშე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 8 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - ცსკა - 0:0.

ცსკა: ბაუჟა, პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, ლინიაევი, მანოშინი (ფომიჩევი), გრეკოვი, დოროხინი, მამიკინი, დენისოვი, პოლიკარპოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა (დათუნაშვილი), მესხი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

მოსკოველებმა საუკეთესოდ ჩაატარეს შეხვედრა. შეიძლება ზოგიერთს გადაჭარბებული დაცვითი ტენდენციების გამოხატულებად მიაჩნია 3 სტოპერი დაცვაში (დოროდნიხი, ლინიაევი, შესტერნევი), მაგრამ ჯერ ერთი, ეს ნაკარნახევი იყო თვით თამაშის მსვლელობით და აუცილებელი დაზღვევის უზრუნველსაყოფად ფლანგებზე, მეორეც - დოროდნიხი სტოპერის როლს ასრულებდა მხოლოდ მოწინააღმდეგის ძლიერი შეტევის დროს, სხვა შემთხვევებში კი იგი თამამად გამოდიოდა წინა ხაზზე და მანოშინთან ერთად მეტად აქტიურად მოქმედებდა შუა მინდორზე.

არმიელთა დაცვას ძალზე გაუადვილა საქმე პონომარიოვმა ([1]2). იგი მთელი თავისი შესაძლებლობებით იბრძოდა მესხის წინააღმდეგ და უნდა ითქვას, წარმატებითაც გაართვა თავი ამ მძიმე მისიას. მესხისა და პონომარიოვის შეტაკებებს საკმაო დრო მიჰქონდა და მოსკოველთა სხვა მოთამაშეები, კერძოდ, მეკარე ბაუჟა, ასწრებდნენ სათანადო კონტროლის ქვეშ აეყვანათ “დინამოს” ფორვარდები, რომლებიც მაღალ გადაცემებს ელოდნენ მესხისაგან. და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც საშუალება მისცა ცსკა-ს დაცვას პროდუქტიულად ემოქმედა საჯარიმო მოედანზე: თბილისელებმა არასაკმარისად გამოიყენეს მეტრეველი, ხოლო თუ მას ეპიზოდურად მაინც მოსდიოდა ხოლმე გადაცემა, მისი პირადი დარაჯი ბაგრიჩი თამაშობდა ისე, რომ მსაჯს თავისუფლად შეეძლო გაეძევებინა იგი მინდვრიდან. ბაგრიჩი მოურიდებლად, თავხედურად ხმარობდა ყველა აკრძალულ ხერხს, რომ არ მიეცა მეტრეველისათვის თამაშის საშუალება.

ამრიგად, ჩვენი გუნდის იერიშის მთავარი ძალა - ფლანგები ასე თუ ისე პარალიზებული აღმოჩნდა, ამიტომ შეტევის მთელი აქცენტი უნდა გადასულიყო ცენტრზე, სადაც ბარქაიასთან ერთად მოწინააღმდეგის შეთანხმებული დაცვის დეზორგანიზაცია ევალებოდათ გ. სიჭინავასა და იამანიძეს. მაგრამ ისინი არასწორად თამაშობდნენ შუა მინდორზე. ეს პირველ ყოვლისა ეხება გ. სიჭინავას. რა თქმა უნდა, ნახევარმცველისათვის უაცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დრიბლინგი და ბურთის ტარება იმ მიზნით, რომ ამ მომენტში განთავისუფლდეს წინა ხაზის მოთამაშე გადაცემის მისაღებად. მაგრამ ყველაფერს აქვს ზომა. ბურთის გაუთავებელი გაჩერება და ტარება ცენტრალურ მინდორზე, იქ, სადაც რთული პრობლემები ძირითადად წყდება ზუსტი გადაცემებით, ზიანს აყენებს გუნდს. ეს დაივიწყა გ. სიჭინავამ, რომელსაც ზოგჯერ ორჯერ-სამჯერ უხდებოდა ერთი და იგივე მოწინააღმდეგის მოტყუება, მასთან დაუსრულებელი შეჯახებები, ამასობაში კი ცსკა-ს საჯარიმო მოედანზე ადგილიც აღარ რჩებოდა ბურთის გადასაცემად. მთელი იმედი ამ დროს დამყარებული იყო კალოევზე. იგი კი გუშინ აშკარად სუსტად გამოიყურებოდა როგორც დაბალი ბურთების მიღებისას, ისე საჰაერო ბრძოლაშიც.

ამ ფონზე ძალზე მომგებიანად ჩანდა არმიელთა სწრაფი კონტრიერიშები, რომლებსაც მხოლოდ ჩოხელსა და ხურცილავს ტანდემმა გაუძლო, ხოლო 50-ე წუთზე კოტრიკაძემ აშკარად იხსნა თავისი კარი გოლისაგან, როცა მის პირისპირ სულ ახლოს აღმოჩნდა პოლიკარპოვი.

კიდევ ერთი საყვედური ჩვენს ფორვარდებს. ისინი თითქმის არც ცდილობდნენ მოეძებნათ გზა მოწინააღმდეგის კარში დასარტყმელად. თუ ცსკა-ს მასირებულ დაცვაში ძნელი იყო ახლო დისტანციაზე გასვლა, შეტევის ლოგიკა მოითხოვდა დარტყმებს შორი მანძილიდან. საამისო ცდებს კი დინამოელთა შორის ადგილი არა ჰქონია. ერთადერთი ხეირიანი დარტყმა შეასრულა მესხმა პირველ ტაიმში და ერთხელაც შესვენების შემდეგ ბარქაიამ ააცილა ბურთი კარს. დანარჩენ შემთხვევებში დინამოელები ძირითადად უშედეგო იერიშებით იყვნენ გართული.

ა. ზაზროშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; რ. ქორიძე.

“ლელო”, 9 ივნისი, 1963 წ.